

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>2003 წლის 4 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/88/EC დირექტივა სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“</p> <p>№2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>№3. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“</p> <p>შესაბამისობა :</p> <p>სშ - სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ - შეუსაბამო</p> <p>ას - არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1.1	წინამდებარე დირექტივა აწესებს უსაფრთხოებისა და	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ვრცელდება საქართველოში არსებულ შრომით

	ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს სამუშაო დროის ორგანიზებისთვის.			ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.		ურთიერთობებზე და შინაარსობრივად მოიცავს დირექტივაში მითითებულ ყველა საკითხს, მაგ, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შვებულება, ღამის სამუშაოები და სხვ.
1.2	წინამდებარე დირექტივა ვრცელდება: (ა) ყოველდღიური დასვენების მინიმალურ დროზე, ყოველკვირეული დასვენების მინიმალურ დროსა და ყოველწლიურ მინიმალურ შვებულებაზე, შესვენების დროსა და კვირის განმავლობაში სამუშაო დროის მაქსიმალურ ხანგრძლივობაზე; აგრეთვე, (ბ) ღამის სამუშაოს, ცვლაში მუშაობისა და სამუშაოს სტრუქტურის გარკვეულ ასპექტებზე.	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ვრცელდება საქართველოში არსებულ შრომით ურთიერთობებზე და შინაარსობრივად მოიცავს დირექტივაში მითითებულ ყველა საკითხს, მაგ, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შვებულება, ღამის სამუშაოები და სხვ.
		1	1.2	შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.		
1.3	წინამდებარე დირექტივა	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე	სშ	საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ვრცელდება საქართველოში არსებულ შრომით

	<p>ვრცელდება საქმიანობის ყველა სფეროზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორზე, როგორც ეს განიმარტება 89/391/EC დირექტივის მე-2 მუხლით, და არ უქმნის საფრთხეს წინამდებარე დირექტივის მე-14, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებს.</p> <p>წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება მეზღვაურებზე, როგორც ეს განიმარტება 1999/63/EC დირექტივით, და არ უქმნის საფრთხეს ამ დირექტივის 2(8) მუხლს.</p>	1	1.2	<p>შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.</p> <p>შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.</p>		<p>ურთიერთობებზე და შინაარსობრივად მოიცავს დირექტივაში მითითებულ ყველა საკითხს, მაგ, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შვებულება, ღამის სამუშაოები და სხვ.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ არ ცნობს გამონაკლისებს/განსხვავებულ სტანდარტებს მეზღვაურებთან მიმართებით, შესაბამისად, დირექტივასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მეზღვაურთ საქმიანობის სპეციფიკა.</p>
1.4	<p>89/391/EC დირექტივის დებულებები სრულად ვრცელდება მე-2 პარაგრაფში მითითებულ</p>	1	1.1	<p>ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არავითარ საფრთხეს არ უქმნის სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ ევროპის კავშირის 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივის იმპლემენტაციის საკითხს, რომელიც ქართულ</p>

	საკითხებზე, არ უქმნის საფრთხეს ამ დირექტივით გათვალისწინებულ უფრო მკაცრ და/ან სპეციალურ პირობებს.			საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.		სამართალში ინკორპორირებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.
2.1.	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის შემდეგ ტერმინებს აქვს ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები: „სამუშაო დრო“ ნიშნავს დროის ნებისმიერ შუალედს, რომლის განმავლობაშიც მუშაკი მუშაობს, არის დამსაქმებლის განკარგულებაში და ასრულებს საკუთარ მოვალეობებს ან ფუნქციებს, ეროვნული კანონმდებლობისა და/ან პრაქტიკის შესაბამისად;	2	1.2 (24.1)	ნორმირებული სამუშაო დრო არის ნებისმიერი დროის მონაკვეთი, როდესაც დასაქმებული მუშაობს დამსაქმებლის განკარგულების ქვეშ და ასრულებს თავის საქმიანობას ან მოვალეობებს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ შინაარსობრივად ერთმანეთისგან მიჯნავს ნორმირებული სამუშაო დროის ნებისმიერ მონაკვეთს, როდესაც დასაქმებული მუშაობს დამსაქმებლის განკარგულების ქვეშ.
2.2.	„დასვენების დრო“ ნიშნავს ნებისმიერ	2	1.2 (24.1)	ნორმირებული სამუშაო დრო არის ნებისმიერი დროის მონაკვეთი, როდესაც	სშ	

	დროს, რომელიც არ არის სამუშაო დრო;			დასაქმებული მუშაობს დამსაქმებლის განკარგულების ქვეშ და ასრულებს თავის საქმიანობას ან მოვალეობებს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო.		
2.3.	„ღამის დრო“ ნიშნავს დროის ნებისმიერ მონაკვეთს, არანაკლებ 7 საათისა, როგორც ეს განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით, და რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს დროის შუალედს შუაღამიდან 5:00 საათამდე;	2	1.2 (28.1)	ამ კანონის მიზნებისათვის ღამის დრო გულისხმობს პერიოდს 22 საათიდან 6 საათამდე.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ დირექტივის შესაბამისად განსაზღვრავს ღამის სამუშაო დრო, რომელიც ჯამურად წარმოადგენს 8 საათს.
2.4.	„ღამის მუშაკი“ ნიშნავს: (ა) ერთი მხრივ, ნებისმიერ მუშაკს, რომელიც თავისი ყოველდღიური სამუშაო დროის მინიმუმ სამ საათს ჩვეულებრივ	2	1.2 (28.2)	ღამის სამუშაოზე დასაქმებული არის ნებისმიერი პირი, რომელიც ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში ღამის დროის განმავლობაში ჩვეულებრივ მუშაობს არანაკლებ სამი საათი და ნებისმიერი პირი, რომელიც	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ შინაარსობრივად მოიცავს ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირის განმარტებას.

<p>მუშაობს ღამის დროის განმავლობაში; და</p> <p>(ბ) მეორე მხრივ, ნებისმიერი მუშაკს, რომელიც დიდი ალბათობით საკუთარი ყოველწლიური სამუშაო დროის გარკვეულ ნაწილს მუშაობს ღამის დროს, როგორც ეს განიმარტება წევრი სახელმწიფოების მიერ:</p> <p>(i) ეროვნული კანონმდებლობით, წარმოების ორ მხარესთან კონსულტაციის შედეგად; ან</p> <p>(ii) კოლექტიური ხელშეკრულებები თ ან წარმოების ორ მხარეს შორის ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე გაფორმებული ხელშეკრულებები თ;</p>		<p>წლიური სამუშაო დროის განსაზღვრულ პროპორციულ ნაწილს მუშაობს ღამის დროის განმავლობაში. წლიური სამუშაო დროის ღამის სამუშაოს პროპორციულ განაკვეთს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.</p>		
---	--	--	--	--

2.5	<p>„ცვლაში მუშაობა“ ნიშნავს ცვლებით სამუშაოს ორგანიზების ნებისმიერ მეთოდს, სადაც მუშაკები ენაცვლებიან ერთმანეთს ერთი და იგივე სამუშაო ადგილას გარკვეული გრაფიკით, რაც მოიცავს როტაციულ გრაფიკსაც, და რომელიც შეიძლება იყოს განგრძობითი ან წყვეტილი, რაც გულისხმობს, რომ მუშაკებს უწევთ სხვადასხვა დროს მუშაობა დადგენილი რაოდენობის დღეების ან კვირების განმავლობაში.</p>	2	1.2 (25.2)	<p>ცვლაში მუშაობა ნიშნავს სამუშაო დროის ორგანიზების მეთოდს, რომლის მიხედვითაც დასაქმებულები თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს ერთი და იგივე სამუშაოზე განსაზღვრული გრაფიკის, მათ შორის როტაციული გეგმის შესაბამისად, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სამუშაო პროცესის გაგრძელება დასაქმებულისთვის დადგენილი სამუშაო კვირის ხანგრძლივობაზე მეტ ხანს.</p>	სშ	
2.6	<p>„ცვლის მუშა“ ნიშნავს ნებისმიერ მუშაკს, რომლის სამუშაო გრაფიკი არის ცვლაში მუშაობის ნაწილი;</p>				შ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ პირველადი ვერსია ითვალისწინებდა ცვლაში მომუშავე პირის დეფინიციას, რომელიც ტერმინოლოგიურად პირდაპირ სამართლებრივ ბმაში იყო ცვლაში მუშაობის მაქსიმალურ დროის ლიმიტის დაწესებასთან. სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად, კონსესუსის სახით</p>

						მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ნორმის კანონპროექტიდან ამოღების შესახებ.
2.7	„მობილური მუშაკი“ ნიშნავს ნებისმიერ მუშაკს, რომელიც დასაქმებულია როგორც მოგზაური ან საფრენოსნო პერსონალი იმ საწარმოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს სახმელეთო, საჰაერო და შიდა სანაოსნო გზებით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის სერვისების მიწოდებას.	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ მოიცავს „მობილური მუშაკის“ განმარტებას. თუმცა, მისი მოქმედების სფერო ვრცელდება ყველა დასაქმებულზე, მათ შორის, აღნიშნულ კატეგორიაზე.
2.8	„ოფშორული სამუშაო“ ნიშნავს სამუშაოს, რომელიც სრულდება ძირითადად ოფშორულ ინსტალაციებზე ან ასეთი ინსტალაციებიდან (საბურღი მოწყობილობების ჩათვლით),	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ მოიცავს „ოფშორული სამუშაოს“ განმარტებას. თუმცა, კანონპროექტის მოქმედების სფერო ვრცელდება ყველა ტიპის სამუშაოზე, მათ შორის, ოფშორში სამუშაოზეც.

	პირდაპირ ან არაპირდაპირ მინერალური რესურსების, მათ შორის, ნახშირწყალბადები ს, შესწავლასთან, მოპოვებასთან ან ექსპლუატაციასთან დაკავშირებით და ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყვინთვას, მიუხედავად იმისა, სრულდება იგი ოფშორული ინსტალაციიდან თუ ხომალდიდან;					
2.9.	„ადეკვატური დასვენება“ ნიშნავს, რომ მუშაკებს რეგულარულად აქვთ დასვენების დრო, რომლის ხანგრძლივობაც განისაზღვრება დროის ერთეულებით და რომელიც არის საკმარისად ხანგრძლივი და განგრძობითი იმის უზრუნველსაყოფად, რომ	2	1.2 (25.1)	თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირობების გათვალისწინებით და დასაქმებულისთვის ნამუშევარი საათების ადეკვატური დასვენების დროის მიცემის პირობით.	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ მოიცავს დასვენების დროს, თუმცა, შინაარსობრივად არ არის დეტალურად იმგვარად განმარტებული, როგორც ეს დირექტივის ტესტშია.

	დადლილობის ან სხვა უჩვეულო სამუშაოს სტრუქტურის შედეგად, ისინი არ აზიანებენ საკუთარ თავს, სხვა მუშაკებს ან სხვა პირებს და რომ ისინი არ აყენებენ ზიანს საკუთარ ჯანმრთელობას, არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერსპექტივაში.	2	1.2 (24.4)	სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.		
3	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მუშაკს ჰქონდეს ყოველდღიური დასვენების დრო თანმიმდევრულად 11 საათის ხანგრძლივობით ყოველ 24 საათიან პერიოდში.	2	1.2 (24.4)	სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.	სშ	
4	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან	2	1.2 (24.5)	სამუშაო დღის განმავლობაში, როდესაც სამუშაო დრო აღემატება 6 საათს,	სშ	

	<p>მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ, როდესაც სამუშაო დღის ხანგრძლივობა აღემატება 6 საათს, ყოველ მუშაკს ჰქონდეს უფლება ისარგებლოს შესვენებით, რომლის პირობებიც, ხანგრძლივობისა და მისი მიცემის პირობების ჩათვლით, უნდა განისაზღვროს კოლექტიური ხელშეკრულებები თ ან წარმოების ორი მხარეს შორის ხელშეკრულებები თ, ან, თუ ასეთი ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული, ეროვნული კანონმდებლობით.</p>			<p>დასაქმებულს წარმოეშობა შესვენების უფლება. შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დრო შეადგენს არანაკლებ 6 საათს, შესვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.</p>		
5	<p>წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ</p>	2	<p>1.2 (24.7)</p>	<p>ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა,</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს კვირის განამელობაში მინიმუმ 24 საათიან დასვენების დროს დირექტივის შესაბამისად.</p>

<p>აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მუშაკს ჰქონდეს უფლება ისარგებლოს მინიმუმ 24-საათიანი უწყვეტი დასვენების დროით ყოველ შვიდდღიან პერიოდში. გარდა აღნიშნულისა მუშაკს უფლება აქვს ისარგებლოს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ი 11-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროით.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ ეს გამართლებულია ობიექტური, ტექნიკური ან სამუშაოს ორგანიზების პირობებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინიმუმ 24-საათიანი დასვენების დრო.</p>		<p>დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულისათვის დასვენება შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24 საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მიმდევრობით ორჯერ 24 საათიანი დასვენების დროით სარგებლობა არაუმეტეს 14 დღის ფარგლებში.</p>		
--	--	--	--	--

6(a).	<p>წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე:</p> <p>(ა) კვირის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა შეზღუდულია კანონით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციულ ი ნორმებით, ან კოლექტიური ხელშეკრულებებით ან წარმოების ორ მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;</p> <p>(ბ) სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობა ყოველ შვიდდღიან</p>	2	1.2 (24.2)	<p>დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.</p>	5შ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ პირველადი ვერსია სრულად ითვალისწინებდა დირექტივის შესაბამისად სამუშაო დროის 48-საათიანი მაქსიმალური ლიმიტის დაწესებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით. სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის პროცესში კონსესუსი სახით პოზიცია შეჯერდა შემდეგზე, რომ ნორმირებული სამუშაო დროის მაქსიმალურ ლიმიტი ნებისმიერ შემთხვევაში განისაზღვრება კვირის განმავლობაში არაუმეტეს 40 საათისა. აღნიშნულის მიღმა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, იმ პირობის დაცვით, რომ დასაქმებული უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო დღეებს შორის უწყვეტი დასვენების არანაკლებ 12 საათიანი პერიოდით. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების შემთხვევაში კი სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს.</p>
		2	24.3	<p>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების შემთხვევაში, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების ჩამონათვალს.</p>		

	პერიოდში, ზეგანაკვეთური დროის ჩათვლით, არ აღემატება 48 საათს.					
7.1.	წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მუშაკს ჰქონდეს უფლება ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით – სულ მცირე ოთხი კვირის ხანგრძლივობით, ასეთი შვებულების მოთხოვნისა და მიცემის ეროვნული კანონმდებლობითა და/ან პრაქტიკით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.	2	1.2 (31.1)	დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტით „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ მაქსიმალური დასაშვები სამუშაო კვირა შედგება 6 სამუშაო დღისგან. ანაზღაურებადი შვებულება წლის განმავლობაში შეადგენს 24 სამუშაო დღეს. შესაბამისად დაცულია დირექტივით მოთხოვნილი მინიმუმ 4-კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება.
		2	1.2 (24.7)	ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულისათვის დასვენება შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24 საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მიმდევრობით ორჯერ 24 საათიანი დასვენების დროით სარგებლობა არაუმეტეს 14 დღის ფარგლებში.		
7.2.	დაუშვებელია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების მინიმალური	2	1.2 (31.5)	დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს	სშ	

	პერიოდის ჩანაცვლება ანაზღაურებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.	2	1.2 (31.6)	გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად. ბათილია შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომლითაც დათმობილი ან უარყოფილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება.		
8 (a)	წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ: (ა) ღამის მუშაკების ნორმალური სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება რვა საათს ყოველ 24-საათიან პერიოდში; (ბ) ღამის მუშაკები, რომელთა სამუშაოც უკავშირდება	2	1.2 (28.1)	ამ კანონის მიზნებისათვის ღამის დრო გულისხმობს პერიოდს 22 საათიდან 6 საათამდე.	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს ღამის სამუშაოების მაქსიმალური სამუშაო დროის 8 საათით შეზღუდვას 24 საათის განმავლობაში, თუმცა, ის ეხება მხოლოდ მძიმე, მავნე სამიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულებს.
		2	1.2 (28.2)	ღამის სამუშაოზე დასაქმებული არის ნებისმიერი პირი, რომელიც ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში ღამის დროის განმავლობაში ჩვეულებრივ მუშაობს არანაკლებ სამი საათი და ნებისმიერი პირი, რომელიც წლიური სამუშაო დროის განსაზღვრულ პროპორციულ ნაწილს მუშაობს ღამის დროის განმავლობაში. წლიური სამუშაო დროის ღამის სამუშაოს პროპორციულ		

8 (b)	<p>სპეციალურ საფრთხეებს ან მძიმე ფიზიკურ თუ გონებრივ დამაბულობას, არ მუშაობენ რვა საათზე მეტს იმ 24 საათიანი პერიოდის ნებისმიერ მონაკვეთში, რომლის განმავლობაშიც ისინი ასრულებენ ღამის სამუშაოს.</p> <p>(ბ) პუნქტის მიზნებისთვის, სამუშაო, რომელიც უკავშირდება სპეციალურ საფრთხეებს ან მძიმე ფიზიკურ ან გონებრივ დამაბულობას, უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით და/ან პრაქტიკით, ან კოლექტიური ხელშეკრულებები თ, ან წარმოების ორ მხარეს შორის გაფორმებული</p>	2	1.2 (28.3)	<p>განაკვეთს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.</p> <p>აკრძალულია ღამის სამუშაოზე არასრულწლოვნის, ორსული, ახალნაშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.</p>		
		2	1.2 (28.4)	<p>მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაო პირობებში ღამის სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულისთვის 24-საათის განმავლობაში მაქსიმალური სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. აღნიშნული წესი არ მოქმედებს ცვლაში მუშაობის შემთხვევაზე.</p>		
		2	1.2 (28.5)	<p>დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს</p>		

	<p>ხელშეკრულებები თ, იმ სპეციფიკური ზეგავლენისა და საფრთხეების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება დამით მუშაობას.</p>	2	1.2 (28.6)	<p>დამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. სამედიცინო შემოწმების პერიოდულობასა და ფარგლებს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.</p> <p>დამის სამუშაოზე დასაქმებული პირი, რომელსაც სამედიცინო დასკვნის თანახმად დამის სამუშაოს შესრულებიდან გამომდინარე აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან პრობლემები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა გადაიყვანოს ასეთი დასაქმებულისთვის შესაფერის დღის სამუშაოზე.</p>		
9.1	<p>წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ</p>	2	1.2 (28.5)	<p>დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს</p>	სშ	

<p>აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:</p> <p>(ა) ღამის მუშაკებს უფლება აქვთ გაიარონ უფასო სამედიცინო შემოწმება როგორც მათი გამწესებისას, ისე შემდგომ პერიოდშიც რეგულარული შუალედებით;</p> <p>(ბ) ღამის მუშაკებს, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ ისინი ასრულებენ ღამის სამუშაოს, პირველი შესაძლებლობისთანავე გადაიყვანონ დღის სამუშაოზე, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ.</p>	2	1.2 (28.6)	<p>ღამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. სამედიცინო შემოწმების პერიოდულობასა და ფარგლებს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.</p> <p>ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირი, რომელსაც სამედიცინო დასკვნის თანახმად ღამის სამუშაოს შესრულებიდან გამომდინარე აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან პრობლემები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა გადაიყვანოს ასეთი დასაქმებულისთვის შესაფერის დღის სამუშაოზე.</p>		
--	---	------------	--	--	--

9.2	პირველი (ა) პარაგრაფით გათვალისწინებული სამედიცინო შემოწმება წარმოადგენს სამედიცინო საიდუმლოს.	2	1.2 (28.5)	დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ღამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. სამედიცინო შემოწმების პერიოდულობასა და ფარგლებს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.	სშ	
9.3	პირველი (ა) პარაგრაფით გათვალისწინებული სამედიცინო შემოწმება შეიძლება ჩატარდეს ჯანდაცვის ეროვნული სისტემის ფარგლებში.	2	1.2 (28.5)	დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ღამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. სამედიცინო შემოწმების პერიოდულობასა და ფარგლებს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ	სშ	სამედიცინო შემოწმების განხორციელება ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში. მის პერიოდულობასა და ფარგლებს განსაზღვრავს მინისტრი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.

			<p>პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.</p> <p>1.2 (28.6)</p> <p>დამის სამუშაოზე დასაქმებული პირი, რომელსაც სამედიცინო დასკვნის თანახმად დამის სამუშაოს შესრულებიდან გამომდინარე აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან პრობლემები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა გადაიყვანოს ასეთი დასაქმებულისთვის შესაფერის დღის სამუშაოზე.</p>		
10.	<p>წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, რომ გარკვეული კატეგორიის დამის მუშაკთა სამუშაო დაუქვემდებარონ გარკვეულ გარანტიებს, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და/ან პრაქტიკით, იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკები</p>			შ	<p>საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული რაიმე ტიპის შეღავათები და გარანტიები დამის სამუშაოზე დასაქმებულთათვის, თუმცა, დირექტივის მიხედვით, ის სახელმწიფოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება.</p>

	ექვემდებარებიან მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკებს, რომლებიც უკავშირდება ღამის სამუშაოს.				
11	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამსაქმებელი, რომელიც რეგულარულად იყენებს ღამის მუშაკებს, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის კომპეტენტურ ორგანოებს, ამ უკანასკნელთა მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში.				შ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ ითვალისწინებს ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას კომპეტენტური უწყებისთვის. ზოგადად დასაქმებულის დასაქმებასთან დაკავშირებით შეტყობინების სისტემა უცხოა საქართველოს შრომის სამართლისათვის.
12	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ	3	5.1(„ა“, „ბ“, „გ“)	საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის,	სშ საქართველოს ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტით „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გარანტირებულია

<p>აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:</p> <p>(ა) ღამის მუშაკებისა და ცვლის მუშების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა შეესაბამება მათი სამუშაოს ხასიათს;</p> <p>(ბ) ღამის მუშაკების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციის სათანადო სერვისები და საშუალებები არის ეკვივალენტური იმისა, რაც ხელმისაწვდომია სხვა მუშაკებისთვის, და ხელმისაწვდომია დროის ნებისმიერ მომენტში.</p>		<p>ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია:</p> <p>ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;</p> <p>ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;</p> <p>გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;</p>	<p>ზოგადად დასაქმებულთათვის, მათ შორის ღამით მომუშავე დასაქმებულთათვის მათი სამუშაოს შესაბამისი უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაოს უზრუნველყოფის ვალდებულება.</p>
---	--	---	---

		2		დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.		
13	წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მხიილონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დამსაქმებელი, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაოს ორგანიზებას გარკვეული სტრუქტურის მიხედვით, მხედველობაში მიიღებს სამუშაოს მუშაკზე ადაპტირების ზოგად პრინციპს, კერძოდ, შემსუბუქებს მონოტონურ სამუშაოსა და წინასწარგანსაზღვრულ სამუშაოს, საქმიანობის სახის შესაბამისად, და	2	1.2 (28.6)	ლამის სამუშაოზე დასაქმებული პირი, რომელსაც სამედიცინო დასკვნის თანახმად ლამის სამუშაოს შესრულებიდან გამომდინარე აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან პრობლემები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა გადაიყვანოს ასეთი დასაქმებულისთვის შესაფერის დღის სამუშაოზე.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ითვალისწინებს სამედიცინო დასკვნების საფუძველზე დასაქმებულთა გადაყვანის შესაძლებლობას ლამის ცვლიდან დღის ცვლაზე.
		3	10.1 (დ)	დასაქმებულს უფლება აქვს: ... დ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დამსაქმებელს მოსთხოვოს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ან დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ლამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის, ხოლო დამსაქმებელს აქვს შესაბამისი		

	უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს, განსაკუთრებით სამუშაო დროის განმავლობაში შესვენებებთან მიმართებაში.			ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;		
14	წინამდებარე დირექტივა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებში, როდესაც თანამეგობრობის სხვა დოკუმენტები შეიცავს უფრო სპეციალურ მოთხოვნებს გარკვეული პროფესიების ან პროფესიული საქმიანობების სამუშაო დროის ორგანიზებასთან დაკავშირებით.				ას	აღნიშნული დებულება მიემართება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოების დირექტივის მიღების მომენტში და არარელევანტურია საქართველოსთან მიმართებით.
15	წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების უფლებაზე გამოიყენონ ან მიიღონ კანონები,				ას	დირექტივის ამ დებულებაში ასახულია ევროკავშირის სამართლის ზოგადი სტანდარტი, რომელიც არ უკრძალავს სახელმწიფოებს მის მიერ დადგენილი სტანდარტის გაუმჯობესებას.

	<p>რეგულაციები ან ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის, ან ხელი შეუწყონ ან დაუშვან ისეთი კოლექტიური ხელშეკრულებების ან წარმოების ორ მხარეს შორის გაფორმებული ისეთი ხელშეკრულებების გამოყენება, რომლებიც აწესებენ უფრო ხელსაყრელ პირობებს მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის.</p>				
16(a)	<p>წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაადგინონ:</p> <p>(ა) მე-5 მუხლის (ყოველკვირეული დასვენების დრო) გამოყენებისთვის სააღრიცხვო</p>	2	1.2 (24.7)	<p>ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულისათვის დასვენება შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24</p>	სშ

	პერიოდი არაუმეტეს 14 დღისა;			საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მიმდევრობით ორჯერ 24 საათიანი დასვენების დროით სარგებლობა არაუმეტეს 14 დღის ფარგლებში.		
16(b)	(ბ) მე-6 მუხლის (სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა კვირის განმავლობაში) გამოყენების სააღრიცხვო პერიოდი, არაუმეტეს ოთხი თვისა. მე-7 მუხლის შესაბამისად გაცემული ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებისა და ავადმყოფობის პერიოდი არ უნდა ჩაითვალოს ან უნდა იყოს ნეიტრალური საშუალოს გამოთვლისას.	2	1.2 (24.2)	დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.	წმ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ პირველადი ვერსია სრულად ითვალისწინებდა დირექტივის შესაბამისად სამუშაო დროის 48-საათიანი მაქსიმალური ლიმიტის დაწესებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით. შესაბამისად, გათვალისწინებული იყო 4 თვის ფარგლებში შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება. სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის პროცესში კონსენსუსის სახით პოზიცია შეჯერდა შემდეგზე, რომ ნორმირებული სამუშაო დროის მაქსიმალურ ლიმიტი ნებისმიერ შემთხვევაში განისაზღვრება კვირის განმავლობაში არაუმეტეს 40 საათისა. შესაბამისად, აღარ არის რელევანტური და საჭირო შეჯამებული აღრიცხვის ლიმიტირება 4 თვის ვადით. ამასთან, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების შემთხვევაში კი სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. მოცემულ შემთხვევაში კი კანონპროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს აღნიშნული შეჯამებული აღრიცხვის რეჟიმში გამოთვლის შესაძლებლობას.
		2	1.2 (24.3)	ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების შემთხვევაში, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების ჩამონათვალს.		
16(c)	(გ) მე-8 მუხლის გამოყენების მიზნით (ღამით				შ	აღნიშნული ნორმა არარელევანტური საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

<p>მუშაობის ხანგრძლივობა), საანგარიშო პერიოდი, რომელიც განისაზღვრება წარმოების ორ მხარესთან კონსულტაციით, ან კოლექტიური ხელშეკრულებები თ ან წარმოების ორ მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები თ ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური დასვენების დრო კვირის განმავლობაში, რაც არის 24 საათი, გათვალისწინებულ ი მე-5 მუხლით, მოექცევა საანგარიშო პერიოდში, იგი არ უნდა იქნეს ჩართული სამუშაოს გამოთვლაში.</p>				<p>მიზნებისათვის, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ ითვალისწინებს შეჯამებული აღრიცხვის რეჟიმის ლიმიტირებას 4 თვის ვადით.</p>
--	--	--	--	---

